

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

### „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს საქართველოს პრეზი-დენტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი (07-1/542, 15.02.2008) „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი.

2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 19 წევრისაგან, შემდეგი შემადგენლობით:

**პაატა ლეჟავა** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე)

**გიორგი ბოკერია** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**ნინო კალანდაძე** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**ელენე თევდორაძე** – საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე

**პავლე კუბლაშვილი** – საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარე

**ვანო ხუხუნიაშვილი** – საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**ზურაბ ტყემალაძე** – საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „მრეწველების“ თავმჯდომარე

**მამუკა კაციტაძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**გოჩა ქიმაძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**ბადრი ხატიძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**ნუგზარ შოშიაშვილი** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**ლევან გზირიშვილი** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**კახა კუკავა** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**კონსტანტინე კუბლაშვილი** – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

**დიმიტრი მაგნიძე** – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე

**გია ხუროშვილი** – საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი

**გიორგი ხუბუა** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

**ავთანდილ დემეტრაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**დავით კერესელიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარის მოადგილე **მ. მაჭავარიანი**

თბილისი,

2008 წლის 19 თებერვალი.

№5723-რს

